



ბუნალტრული ადრისხვის,
ანგარობგბინსა და აუდიტის
ფინდამხედველობის სარსანსური



სარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის მიმართულებები 2019 წლისთვის



დოკუმენტის შესახებ

აუდიტორული ფირმების, აუდიტორების და სხვა დაინტერესებული მხარეების საყურადღებოდ, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამოქვეყნდეს ინფორმაცია 2019 წლის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის (შემდგომ - მონიტორინგი) დაგეგმილი მიმართულებების შესახებ.

დოკუმენტში, გარდა დაგეგმილი მიმართულებებისა, ასევე ასახულია: მონიტორინგის სახეები, კანონმდებლობით დადგენილი ვადები, მონიტორინგის დაწყების ინდიკატორები და მონიტორინგის პროცესების აღწერა.

სამსახურს მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეთა მიერ გაანალიზდეს სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ 2017 წლის წლიურ ანგარიშთან ერთად.

წინამდებარე დოკუმენტი არის საინფორმაციო ხასიათის და არ წარმოშობს რაიმე სამართლებრივ შედეგებს. დოკუმენტსა და კანონმდებლობას შორის სხვაობის შემთხვევაში, გამოიყენება კანონმდებლობის ნორმები.

მონიტორინგის სახეები და 2019 წლისთვის მონიტორინგის განხორციელების მიმართულებები

აუდიტორული ფირმების/აუდიტორების აუდიტის ხარისხის კუთხით არსებული მდგომარეობის გამოსავლენად სამსახური ახორციელებს ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს, სრულად ან თემატურად.

ხარისხის კონტროლის სისტემის სრული მონიტორინგი:


- **სავალდებულო მონიტორინგი** - 2019 წლის განმავლობაში სამსახური განაგრძობს ხარისხის კონტროლის სისტემის სავალდებულო სრული მონიტორინგის განხორციელებას (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ **დანართი 1**);
- **რისკზე დაფუძნებული მონიტორინგი** - 2019 წლის განმავლობაში სრული მონიტორინგი შეიძლება ასევე განხორციელდეს ისეთ აუდიტორულ ფირმებში/აუდიტორებთან, რომლებმაც უკვე გაიარეს სავალდებულო სრული მონიტორინგი, მაგრამ შემდგომ გამოიკვეთა ისეთი გარემოებები, რომელიც მიანიშნებს, რომ აუდიტორული ფირმის/აუდიტორის მიერ გაწეული აუდიტორული მომსახურების ხარისხი შეიძლება აღარ შეესაბამებოდეს მისთვის მინიჭებულ ხარისხობრივ კატეგორიას (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ **დანართი 1**).

ხარისხის კონტროლის სისტემის თემატური მონიტორინგი:

- 2019 წლის განმავლობაში თემატური მონიტორინგი შეეხება ხკსს 1-ის „მონიტორინგი“-ს (შიდა მონიტორინგი) ელემენტის დანერგვისა და მისი ფუნქციონირების შემოწმებას. აღნიშნული მონიტორინგის განხორციელება იგეგმება იმ აუდიტორულ ფირმებში/აუდიტორებთან, რომლებმაც უკვე გაიარეს სრული მონიტორინგი (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ **დანართი 2**);
- გარდა აღნიშნულისა, სამსახურმა, მარეგულირებელ ორგანოებთან კოორდინირებული მუშაობით, შესაძლოა განახორციელოს ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა მუხლის აუდიტის სიღრმისეული თემატური მონიტორინგი, ან გამოკვეთოს საჭიროება სხვაგვარი თემატური მონიტორინგის განხორციელებისა (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ **დანართი 2**).

ხარისხის კონტროლის სისტემის სრული მონიტორინგის პროცესი

დანართი 1: სრული მონიტორინგი



* სამსახურის მიერ მონიტორინგის დაწყებისთანავე, როგორც წესი, მონიტორინგს დაექვემდებარებულ ყველა აუდიტორულ ფირმას/აუდიტორს ეგზავნება წერილობითი მოთხოვნა, განხორციელებული/მიმდინარე გარიგებების სრული სიის წარმოდგენასთან დაკავშირებით. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია წარადგინოს სამსახურის მიერ მონიტორინგისათვის მოთხოვნილი საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში (კერძოდ, თუ აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ არ იქნება წარმოდგენილი ან არასრული ფორმით იქნება წარმოდგენილი სამსახურის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია) სამსახური ვალდებული იქნება, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის VII თავის მოთხოვნათა შესაბამისად, კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნების დარღვევისათვის აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიმართ გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული სანქცია.

ხარისხის კონტროლის სისტემის თემატური მონიტორინგის პროცესი

მონიტორინგი

მონიტორინგის განხორციელების ვადები/დრო

ვინ ექვემდებარება / რისკის ინდიკატორები

მონიტორინგის პროცესი

თემატური მონიტორინგს ექვემდებარებიან აუდიტორული ფირმები და აუდიტორები

თემატური მონიტორინგი მოიცავს:

- ხარისხის კონტროლის სისტემის იმ ცალკეულ ელემენტებს, შერჩეულ გარიგებებს და საქმიანობის წარმართვის სხვა სფეროებს, რაც სამსახურის მიერ განსაზღვრულია რისკის მატარებლად
- მონიტორინგის შედეგად აუდიტორისათვის / აუდიტორული ფირმისათვის / გარიგების პარტნიორისათვის მიცემული შესასრულებელი ღონისძიებების შესრულების კონტროლს

რისკის ინდიკატორები:

- წინა, სრული მონიტორინგის შედეგები
- გარიგების პარტნიორის მიერ შესრულებული გარიგებების რაოდენობა
- აუდიტორული გარიგების არამართლზომიერი საზღაური
- მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობის არასახარბიელო ისტორია
- რეპორტალზე დადასტურებული ანგარიშგებების ხარისხი
- აუდიტორული მომსახურებიდან შემოსავლების მკვეთრი ზრდა
- ეთიკის კოდექსთან შესაძლო შეუსაბამობა
- „უარი მოსაზრების გამოთქმაზე“ - რაოდენობა
- შემოსული საჩივრები
- მარეგულირებელი ორგანოებიდან ან სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია ფირმის/აუდიტორის შესახებ
- სხვა მსგავსი ინდიკატორები

თემატური მონიტორინგი

მოულოდნელად, ნებისმიერ დროს

გამოიყვანა თემატური მონიტორინგის დაწყების ბრძანება

შეხვედრა მონიტორინგის ჯგუფთან

მონიტორინგის ძირითადი პროცედურები

შეხვედრები მონიტორინგის ჯგუფთან

წინასწარი შედეგები

აუდიტორული ფირმის/ინდივიდუალური აუდიტორის პასუხი

შეხვედრა დეპარტამენტის უფროსთან

საბოლოო შედეგები

შეხვედრა სამსახურის უფროსთან

თემატური მონიტორინგის შედეგების შესახებ სამსახურის უფროსის ბრძანება

შეხვედრა საჭიროების შემთხვევაში

წინამდებარე დოკუმენტი არის საინფორმაციო ხასიათის და არ წარმოშობს რაიმე სამართლებრივ შედეგებს. დოკუმენტსა და კანონმდებლობას შორის სხვაობის შემთხვევაში, გამოიყენება კანონმდებლობის ნორმები.